ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-2492

„12" დეკემბერი 2016 წ.

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.753) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 17 ნოემბრის №56 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.753), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,0.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, №3 თბილისის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE71TB7002533030100046.) 21 400.23 (ოცდაერთი ათას ოთხასი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საგადახდო დავალება N55

რეფერენსი

5347838105

გადამხდელის დასახელება: შპს ახალი თბილისი 2015

ანგარიში (დებეტი) GE31BG0000000153530300
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს ახალი თბილისი 2015

საიდენტ. კოდი 405120863

მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE71TB7002533030100046

მიმღების ბანკი:
სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი TBCBGE22

გადახდის დანიშნულება: ქ.თბილისში, საბურთალოს რ-ნში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფასური; საკადასტრო კოდი:01.72.14.035.753; ბრძანება # 1-2492; 12/12/2016

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____ ბ.ა.

მთ. ბუღალტერი _____

თანხა

21400-23

თანხა სიტყვებით

ოცდაერთი ათას ოთხასი ლარი
23 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 11.04.2017

მიღების თარიღი: 11.04.2017

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა _____

შტამპის ადგილი

2173